ხელი მოეწერა შეთანხმებას თეოლოგიის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ასოციაციასა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასწავლო კომიტეტს შორის

2021 წლის 8 ივლისს წმინდანთა მოციქულთასწორთა კირილესა და მეთოდეს სახ. ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის სააქტო დარბაზში გამართულ საზეიმო სხდომაზე ხელი მოეწერა თეოლოგიურ-სამეცნიერო-საგანმანათლებლო ასოციაციასა (თსსა) და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასწავლო კომიტეტს შორის თანამშრომლობის შეთანხმებას.

დოკუმენტზე ხელი მოაწერეს ასოციაციის პრეზიდენტმა, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ზოგადსაეკლესიო ასპირანტურის რექტორმა, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარემ დეკანოზმა მაქსიმე კოზლოვმა.

საზეიმო ცერემონიაში ასევე მონაწილეობდნენ: თსსა-ს საბჭოს წევრი და საერთო კრების მდივანი, რუსეთის განათლების აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი მ. ნ სტრიხანოვი; მოსკოვის სახელმწიფო ლინგვისტიკის უნივერსიტეტის რექტორი ი. ა. კრაევა; მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ვ. ხტრახოვი; რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, პერერვინის სასულიერო სემინარიის რექტორი მღვდელმონაზონი აპოლინარიოსი (პანინი); მოსკოვის სასულიერო აკადემიის პრორექტორი სამეცნიერო-საღვთისმეტყველო დარგში დეკანოზი ალექსანდრე ზადორნოვი; სრეტენის [მირქმის] სასულიერო აკადემიის პრორექტორი კ. მ. ჯუსოევი; თსსა-ს აღმასრულებელი დირექტორი გ. ი. ტეპლიხი.

თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერა მოწოდებულია, არსებითად გააფართოოს ურთიერთდახმარების შესაძლებლობა საერო უნივერსიტეტებსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო სკოლებს შორის, რაც მიმართულია პროფესიონალური თეოლოგიური საზოგადოების განვითარებასა და სასულიერო სკოლებისა და უნივერსიტეტების თეოლოგიური კათედრების საგანმანათლებლო სივრცეების მჭიდრო ინტეგრაციაზე.

მიტროპოლიტმა ილარიონმა ილაპარაკა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასწავლო კომიტეტთან დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობაზე და კერძოდ, აღნიშნა: „თითოეულ თეოლოგს უნდა ჰქონდეს აღიარება არა მხოლოდ თავის აკადემიურ წრეში, არამედ მანდატის ერთგვარი ფორმაც ტრადიციული რელიგიური კონფესიისგან“. თეოლოგიურ-სამეცნიერო-საგანმანათლებლო ასოციაციის პრეზიდენტმა, ასევე, იმედი გამოთქვა, რომ თსსა-ს საქმიანობის ჩარჩოებში აკრედიტაციის მსგავს მოდელს სხვა რელიგიური კონფესიებიც გამოიმუშავებენ. „ჩვენს ასოციაციაში ამჟამად 70 უმაღლესი სასწავლებელია გაწევრიანებული: მასში პრაქტიკულად წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის ყველა მოწინავე უნივერსიტეტი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო სკოლები, სხვა რელიგიური კონფესიების სასულიერო სასწავლებლები“, – შენიშნა მან. მიტროპოლიტ ილარიონის აზრით, თითოეული რელიგიური ტრადიცია, რომელიც თეოლოგიის სწავლასთან არის დაკავშირებული, უნდა გამოიმუშავებდეს იმ თეოლოგების აპრობაციის მოდელს, ვინც მისი სახელით შეუდგება პედაგოგიურ საქმიანობას.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარემ დეკანოზმა მაქსიმე კოზლოვმა ასევე აღნიშნა თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების მნიშვნელობა: „თანამშრომლობის შესახებ ამჟამად დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, სასწავლო კომიტეტი დახმარებას გაუწევს

თეოლოგიის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ასოციაციას. ასოციაცია იქნება ის მთავარი სტრუქტურა – უკვე ფორმირებული, უკვე მოქმედი, უკვე განმსაზღვრელი სახე თანამედროვე რუსეთის თეოლოგიისა, რომელიც მის საქმიანობაში ჩართულობის გზით ჩვენს სასულიერო სკოლებს საშულებას მისცემს იყვნენ იქ, სადაც იქნება რუსეთის უმაღლესი განათლება თეოლოგიის სფეროში... ამიტომ თსსა-ში გასაწევრიანებლად მომავალშიც აღვძრავთ საკმარის დონეს მიღწეულ ჩვენს სასულიერო სკოლებს“.

სსკგ-ის კომუნიკაციების სამსახური

ზსად-ის პრეს-სამსახურის ინფორმაციის მიხედვით

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87693/